პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი შესამე

კომუნისტი

ს. ს. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველს პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5 – 43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დღიური

— გაიხსნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია, რომელშიც გაირჩევა საბჭოთა ფედერაციის კავშირის კონსტიტუცია.

— ბულგარეთის რეგულიარული ჯარი შეიჭრა საბერძნეთში.

— ლოზანას საზავო ხელშეკრულების მოსაწერად მოწვეულ იქნება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი.

— საფრანგეთის სენატმა ხმის უმრავლესობით დაამტკიცა რურის ოლქის ოკუპაციით გამოწვეული ხარჯები.

№ 150 სამშაბათი 3 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 150

დღეს, 3 ივლისს, საღამოს 6 საათზე შესდგება

სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა

ცაკის მდივანი: პ. სახაშვილი.

„ნაციონალური მომენტი სახელმწიფოებრივ მშენებლობაში“

კვირის №-ში ჩვენ შევეხეთ ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიის მუშაობას და, სხვათა შორის, აღვნიშნეთ სესიის დადგენილება „ნაციონალური მომენტის შესახებ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში“.

როგორც თვით საკითხი, ისე სესიის გადაწყვეტილება მის შესახებ, იმდენად მნიშვნელოვანია და საყურადღებო, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მაზე კვლავ შეჩერება.

ამ სფეროში ჩვენ კარგა ხანია უკან დავტოვეთ ხანა თეორიულ დისკუსიების და პრაკტიკულად შეუდექით ჩვენი ნაციონალურ პროგრამის ბოლომდე განხორციელებას. პარტიამ მეთორმეტე კონფერენციამ სწორედ ასეთ პრაკტიკულ ნიადაგზე დასვა ეროვნული საკითხი. და ამ ჟამად წარმოებს გაძლიერებული მუშაობა აღნიშნული ყრილობის სათანადო დადგენილებათა გადაუხვევლად და დაწვრილებით გატარებისათვის ცხოვრებაში.

ჩვენი სინამდვილის პირობებში ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი ნიშანი. ერთია ადგილობრივ ელემენტების მაქსიმალური გამოყენება სახელმწიფოებრივ და სხვა აპარატებში, მეორეა ნაციონალურ ენის საკითხი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ, როგორც აბხ. ელიავამ განაცხადა თავის მოხსენებაში ამიერ-კავკასიის ცაკის სესიაზე, ხელისუფლება უნდა ეკუთნოდეს მშრომელებს, მშრომელებს იმ ნაციონალურ მასსას, რომელიც შეადგენს ქვეყნის მოსახლეობას. ამის მიხედვით მმართველობა და სახელმწიფოს სამეურნეო ორგანოები უნდა იყოს ადგილობრივ, ნაციონალურ ელემენტების ხელში.

რანაირია ამ მხრივ ჩვენში მდგომარეობა?

საბჭოთა ხელისუფლებას ამ სფეროში იმ თავითვე დიდი დაბრკოლებები გადაეღობა.

დიდი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა, რომელსაც შეეძლო მუშაობა და სამსახური სახელმწიფო ორგანოებში, მტრულად იყო განწყობილი ახალ წყობილებისადმი, და ის აშკარა თუ ფარული საბოტაჟის გზას ადგა. ამიტომ საჭიროებით მაზე დაყრდნობა არ შეეძლო ორგანიზაციის და განმტკიცების პროცესში მყოფ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაცია, საბჭოთა მშენებლობა მოითხოვდა საამისოდ გამოცდილ მუშაკებს, რომლებიც ადგილობრივ ნაკლებად მოგვეპოვებოდა.

მაგრამ მდგომარეობა თანდათანობით იცვლებოდა. საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, მოხდა არსებითი გარდატეხა ინტელიგენციაში, ყოველ შემთხვევაში მის საგრძნობ და მშრომელ ნაწილში, რომელიც ამოუდგა გვერდში მუშურ-გლეხურ მთავრობას. შეიქმნა პირობები ადგილობრივი ელემენტების მაქსიმალურად გამოყენებისა და ჩაბმისა სახელმწიფო ორგანოებში და საბჭოთა მშენებლობაში.

ამისდამიხედვით ხდებოდა თანდათან შევსება სახელმწიფო ორგანოებისა ადგილობრივი ელემენტებით.

ამ მხრივ საგულისხმოა ზოგიერთი ცნობები. როგორც ამბ. ელიავას უკვე აღნიშნულ მოხსენებიდანაც სჩანს, საქართველოს ცაკში თითქმის 100 პროცენტია ქართველი. შ. ს. კ ორგანოებში 6.969 თანამშრომლიდან მთელ საქართველოში ქართველთა რიცხვი არის 5.752, რუსების — 349, სომხების — 848, დანარჩენი სხვა ეროვნებათაა. ასეთივე მდგომარეობაა განათლების უწყებაში.

თბილისში, სადაც ქართველები შეადგენენ მისი მოსახლეობის 30 პროცენტს, ქალაქის აპარატში მათ უკავიათ 45 პროც. თბილისის აღმასკომში ქართველია 54 პროც., საბჭოში — 43,4 პროც. ქალაქის მოსამსახურეთა შორის ქართველობა ნახევარზე მეტია.

პროფკავშირებში ქართველები შეადგენენ 50,8 პროცენტს, ასევეა პროფკავშირების მმართველ ორგანოებში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე 20 ათასი თანამშრომლიდან ქართველობა ნახევარზე მეტია — 10.742 კაცი.

ეს მოკლე ცნობებიც მეკვრემეტყველურად მოწმობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ემყარება ნაციონალურ და ადგილობრივ ელემენტებს. ეს ციფრები ამავე დროს უმიწყლოდ აქარწყლებენ ჩვენი მტრების მიერ გავრცელებულ პროვოკაციულ ჭორებს ჩვენი ქვეყნის რაღაც დაპყრობის შესახებ „უცხოელების“ და „მოსულების“ მიერ.

მეორე საკითხი, რომელსაც, როგორც ზევითაც ავღნიშნეთ, გვნდა მივაქციოთ ყურადღება, ესაა საკითხი ნაციონალურ ენის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში, როგორც ცენტრში, მით უმეტეს პროვინციაში, საქმის წარმოება ერთიანად ქართულ ენაზე მიმდინარეობს. სწავლება სკოლებში, დაწყებული დაბალი სკოლიდან და გათავებული უმაღლესით — უნივერსიტეტით, ავრედვე ქართულად წარმოებს.

ჩვენი ურყევი პრინციპია, რომ ყველაფერი, როგორც მმართველობა-გამგეობა, ისე სწავლება და სხვა ხდებოდეს ხალხისათვის გასაგებ და მშობლიურ ენაზე. ეს პრინციპი უნდა იქნეს სავსებით დაცული.

ამ მხრივ ისტორიული მნიშვნელობის დეკლარაცია მიიღო ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიამ. ეს დეკლარაცია იბეჭდება გაზეთის დღევანდელ №-ში.

სესია ავალებს ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმს უმოკლეს დროში გამოსცეს კანონი, რომელიც მოაწესრიგებს მშობლიურ ენების გამოყენებას საკითხს, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ისე მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში.

სესია ავალებს რესპუბლიკების ცა. კომიტეტებს უმოკლეს დროში გამოსცეს კოდექსი სახელმწიფო დაწესებულებებში, როგორც მოსახლეობის უმრავლესობის ენის, ისე ნაციონალურ უმცირესობათა ენების ხმარების შესახებ.

სესია ადგენს, შემოღებულ იქნეს მთელ რიგ სკოლებში ამიერ-კავკასიის ხალხთა ძირითად ენების, აგრედვე მათი ისტორიის და ყოფა-ცხოვრების სწავლება. გარდა ამისა, სესია ადგენს, გამოიცეს კანონები, რომელნიც მიხედვით უნდა დაისაჯოს ეროვნებათა და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების დამრღვევნენ.

აი, მართლაც რომ ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება!

ფართე ასპარეზი ნაციონალურ ენებს, მთელი მმართვა-გამგეობა მშობლიურ ენაზე, ხალხის უშუალოდ დაახლოვება სახელმწიფო აპარატთან, ამიერ-კავკასიის მშრომელთა მჭიდრო დაკავშირება ერთმანეთთან და ეს მარიტი ინტერნაციონალიზმის დამყარება, დაყრდნობა ადგილობრივ ელემენტებზე და მათი ჩაბმა მშენებლობის ყოველ სფეროში, — აი, ამოცანები, რომლებსაც მტკიცედ და გადაუხვევლად ანხორციელებს საბჭოთა ხელისუფლება.

ჩვენში და მთელ ამიერ-კავკასიაში დიდი ნაციონალური მტრობა, სიძულვილი და უნდობლობა სუფევდა. ეს იყო შედეგი ცარიზმის დიდმპყრობელურ პოლიტიკის და ნაციონალისტურ პარტიების აღვირახსნილ შოვინიზმის.

საბჭოთა ხელისუფლებას დიდი მუშაობა დასჭირდა ამ მახინჯი ნაშთების აღმოსაფხვრელად. აწიც მოუხდება მას ამ მიძართულებით ფრთხილი და მიზანშეწონილი პოლიტიკის წარმოება.

საბჭოთა ხელისუფლება ივლის უკვე დაწყებული გზით და ხალხთა უფლებების სრული დაცვით მათი ეროვნულ კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებით შექმნის პირობებს ხალხთა ძმური თანამშრომლობისათვის, მათი ეკონომიურ და კულტურულ აყვავებისათვის.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესია

სხდომის გახსნა.

მოსკოვი. 30 ივნისი. 29 ივნისს გაიხსნა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესია. ფრაქციის წინადადებით ღღის წესრიგში დამატებით შეტანილ იქნა ადგილობრივ ბიუჯეტის საკითხი და აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ხელახალი არჩევნების საკითხი ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით.

კონსტიტუციის საკითხები.

ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამბ. საპრონოვი, რომელმაც გააცნო დელეგატებს ის დამატებები, რომელნიც საკავშირო ცენტრალურ აღმასკომის კომისიის მიერ შეტანილი იყო ხელშეკრულების ტექსტში. კომისიამ დამიდაწესა, რომ საერთაშორისო დამოკიდებულებანი უნდა აწარმოოს მხოლოდ კავშირის ორგანოებმა, ცალკე რესპუბლიკების საზღვრების შეცვლა საბჭოთა კონგრესის ერთ-ერთ ერთ-ერთ ერთ-ერთ

რად

ბევრი მათგანი დასახიჩრდენ და ასაძლოა სასიკვდილოდაც დაშავდენ, მაგრამ მათი დამსახურება მშრომელიერ მრეწველობის წინაშე დიდია და არასოდეს არ იქნება დავიწყებული.

ეს უკვე აღნიშნულია აზერბეიჯანის ნაციონალურ-თეის სამმართველოს ბრძანებაში (№ 390, 8 ივნისი), რომელშიაც გამოცხადებულია გულითადი მადლობა ყველა ცეცხლის მქრობელებისადმი.

ცეცხლისაგან მიყენებულ ზარალის საერთო ციფრი ჯერ კიდევ არ არის გამოანგარიშებული, ყოველ შემთხვევაში ეს ციფრი დიდია.

ამ ჟამად აზერბეიჯანის ნავთის სამმართველო იღებს სასწრაფო ზომებს, რათა შეწყვეტილი მუშაობა საქ ჩავებში განახლებულ იქნას მახლობელ დღეებში.

ცეცხლის გაჩენის ადგილას იგზავნება მუშების დიდი პარტიები საჭირო სააღშენებლო სამუშაოების საწარმოებლად.

ტორი.

პარტიული ცხოვრება

ყოლოზეების სახელმწიფო პირველ ქარხნის კომუჯრედის მუშაობა ივნისში.

მუშაობა უჯრედში.

საანგარიშო თვის განმავლობაში იუჯრედს ჰქონდა 6 სხდომა, ამათგან 4 ფიცი. დაესწრენ სხდომებს კომპარტიის წევრები—81 კაცი, ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედიდან—41, უპარტიო—72. სულ სხდომებს დასწრო 194 კაცი. უჯრედს სხდომებზე გარჩეული იყო საკითხები: პარტიული—3, საწარმოო—6, მიმდინარე—6, პოლიტიკური—2. უჯრედის მუშაობით დატვირთვის გამო საანგარიშო თვის განმავლობაში სათანადო ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. საანგარიშო თვის განმავლობაში ყურადღება ჰქონდა მიქცეული საწარმოო საკითხებს, შტატის შემოკლებასთან დაკავშირებით. უჯრედის ყურადღების მაქსიმუმი მიქცეული იყო იქითკენ, რომ წარმოება არ დაცემულიყო, შტატის მომავალ შემცირების გამო და ეს მიღწეულია იდეც. საანგარიშო თვის განმავლობაში მოსმენილ იქნა დელეგატების ანგარიშები მდივნების თათბირის შესახებ და ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის მდივნის ანგარიში. კომუჯრედი ნუშების მთელი სიმპატიებით სარგებლობს. შემჩნეულია უპარტიოთა ლტოლვა კომპარტიისადმი. კოჭლობს პოლიტიკური ანბანის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რადგან მუშაობა ხშირად წყდებოდა, ეხლა კი საერთო სამხედრო სწავლების დროს მუშაობა შეწყვეტილია.

კომუჯრედი უშუალოდ კომუჯრედიდან მივლინებულ ამხ. როტინოვის საშუალებით ხელმძღვანელობას უწევს ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის მუშაობას, რომელიც ნორმალურად მიმდინარეობს. საანგარიშო თვის განმავლობაში კომუჯრედს ჰქონდა 3 შეერთებული სხდომა ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედთან ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის ყველა წევრები ჩათრეულნი არიან კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში. ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის ერთი წევრი შედის კომპარტიის უჯრედის ბიუროში. უკანასკნელ დროს ბიუროში ახალგაზრდათა კომკავშირის ერთი წევრი ჩაერთო. ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის ბიუროში ერთ-ერთ ადგილზე ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის ბიუროს ერთ-ერთ ადგილზე ახალგაზრდა ბოლშევიკი ამ ადგილზე ბიუროში

ჟუშათა ცხოვრება

გათენება

I

დაბურულ ტყეში ღამის წყვდიადი,
რაღაც საშიშარ დუმილს იწვევდა,
თითქო შორს იყო ჯერ განთიადი
და ძილში ბოღვებს ვიღარ იტევდა.

ბალახების ქვეშ ანცი ნაკადი
ბნელ გზას იკვლევდა, იკლაკნებოდა,
მისი ლუკლუკის ჩუმი ნავარდი
გველის სისინში იკარგებოდა.

ჯადოქარს კვერთხი ეჭირა ხელში
და უშვენებდა გულს ავვარიზი,
მიდამო იყო შავ სამოსელში
და ყველას ფლობდა თვით ტარტაროზი.

წინაღმდეგი არავინ სჩანდა,
თეთრი ფერია გულდრეკს უმივდა,
ყველა კუნეული სამარეს ჰგვანდა
და მხოლოდ ავი სული სუფევდა.

II

მაგრამ იყოვლა დილის მამალმა,
ააცრიალა ნიავმა ნისლი,
ააბმაური ტყე ქარიშხალმა,
მიფანტ-მოფანტა ჩამდგარი ჭირხლი.

ბუნებამ გახსნა ურჩი საღარო,
ბულბულმა მორთო ტკბილი გალობა,
ზეცას დაეტყო ფერი სადარო—
ნორჩ ყვავილების უხვი წყალობა.

კმარა! დადუმდით! ავსულო მტარვალნო!
სხივი მიადგა შორს კავკასიონს!
აღსდეგით შვებით ჩაკრულ-მაშვრალნო,
წინ მივეგებოთ დილის ალიონს!

აჰაა—დაჭკრა მშრომელთა ბუკმა,
შეიქნა ქარხნის აფრ-ზაური!
აქ არის ჩვენი ალალი ლუკმა
მშობლიური და ნათესაური!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

მუშათა ცენტრალურ კლუბის საზეიმო გაღი.

დიდი ხნის შეკეთების შემდეგ, შაბათს, 30 ივნისს ძლივს ეღირსა მუშათა ცენტრალურ საზეიმო-ბაღს გახსნა.

პროფკავშირმა, რომლის განკარგულებაშიც არის მუშათა კლუბი და მისი საზეიმო ბაღი, არავითარი ენერგია და ნივთიერი ხარჯები არ დაინაზა ამისთვის. მუშათა საზეიმო-ბაღი, შარშანდელთან შედარებით, წრეულს მუშათა მასისათვის განსაკუთრებულ გასართობს და მათ ესთეტიურ გრძნობის დიდ დამაკმაყოფილებელ საშუალებას წარმოადგენს.

ბაღი მოწყობილია ყოველ მხრივ სანთიანად, განათებულია ელექტრონით. არის მოთავსებული სცენა, არის სასეირნო ხეივნები, ალეები და სხვა...

30 ივნისს, ბაღის გახსნის დღეს გაიმართა გრანდიოზული კონცერტი. პირველ განყოფილებაში უკრავდა აღმოსავლეთის სამუსიკო გუნდი, მეორეში პროფკავშირის (აჩხ. კალანდაძის) გუნდი, რომელმაც იმღერა ქართულ-რუსული ხალხური თანამედროვე სიმღერები. კალანდაძის გუნდი მუდამ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. ამ დღეს მას სიცხოველე აკლდა. მიზეზი ის იყო, რომ ზოგიერთი მისი წევრი ავად გახდა და არ გამოვიდა. მეორე განყოფილებაში შესრულებულ იქნა „ძმათა ბარანსკების“ მიერ ვიოლოსიპიდზე „ტრიუკები“. ეს იყო „ზე-ჩუნებრივი“ სანახავი. ერთ თვლიან სამ არშინის სიმაღლის ვიოლოსიპიდზე ერთიერთმანეთზე თავ ადაერა მდგარი სამი ადამიანი გაჭანიბული ვიოლოსიპიდით სცენას გარს უვლიდა. ამ სანახაობამ გასაოცარი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

სეირნობა გათავდა ღამის 12 საათზე. სეირნობას აუარებელი ხალხი დაესწრო. ბაღს დიდი ენერგია და თანაგრძნობა ეტყობა გამგის და გასაკუთრებით პროფკავშირისა, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდება მუშების სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

რკინის გზელ მუშა-ქალაქეგზი.

22 ივნისს პირველ რაიონის ქალთა განყოფილებამ მოიწვია თბილისის სადგურზე მუშა-მოსამსახურე ქალების კრება. კრებამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ ამხ. დიმიტრაშვილი, მდივნად—არაკელოვი. კრებაზე მოხსენება გააკეთა საერთო მდგომარეობაზე ო. ბიბინეშვილმა. იგი შეეხო იმ საკითხს, თუ როგორ მონურ მდგომარეობაში არიან ქალები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

სულ სხვა სურათს ვხედავთ აქ, საბჭოთა რესპუბლიკებში. აქ ქალი გათანასწორებულია მამაკაცთან და ყველგან თანასწორ უფლებებით სარგებლობს.

ჩვენმა ქალებმა ამ თავისუფლებით უნდა ისარგებლონ, უნდა შეკავშირდეთ, შეიერთდეთ, ვისაუბროთ ხშირათ ჩვენ ჭირვარამზე, დავესწროთ კრებებს, გამოვიტანოთ დადგენილებები და ვამცნოთ ჩვენს უმაღლეს ორგანოებს ის გასაჭირი, რაც იქნება ჩვენს გარშემო. ჩვენი ცხოვრების პირობები—ამ ღარიბ ქვეყანაში ბევრ მდიდარ ქვეყნებზე უმჯობესია. მუშა-მოსამსახურე ჩვენში დღეს უზრუნველ ყოფილია—ის იგზავნება საჭიროებისდაგვარად კურორტებზე, ხშირ-ხშირად დადიოდენ ტყეში ვიოლაცასთან დარიგების მისაღებად.

დაბოლოს გამოგვიცხადეს, რომ, რადგანაც თქვენი ვინაობა ვერ გამოვარკვიეთ, ამიტომ გიშვებთო, ხოლოდ იცოდეთ, თქვენში რომ აღმოჩენილიყო კომუნისტი ან ჩეკისტი, მაშინ ნახავდით რასაც გიზამდითო.

ჩაჯდენ ავტომობილში და წავიდენ; ჩვენ ავტომობილი ვიპოვეთ გაძარცვის პუნქტიდან 1 ნახევარ ვერსის მანძილზე.

ბანდიტები და კონტრ-რევოლიუციონერები კიდევ არ არიან საბოლოოდ მოსპობილნი კახეთში. საქროა მათ წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლა.

კ. ხომერიკი.

ქრონიკა

— **მანეთის კურსი.** ა. კ. სახალხო კომისარიათა საბჭოს ამა წლის 17 მაისის დადგენილება № 52 ის საფუძველზე, ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის საქ. რწმენ. სამმართველოსთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე (ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით) ამა წლის 1-ლ ივლისისათვის განისაზღვროს 26 433.000 (ოცდა ექვსი მილიონი ოთხასი ოცდა ცამეტი ათასი) მანეთით.

ამავე რიცხვისათვის საქონლის 1 მანეთის ღირებულება განისაზღვროს 2.643 300 (ორი მილიონი ექვსას ორმოცდა სამი ათასი სამასი) მანეთით (ა. კ. ფულის ნიშნების).

ა. კ. შრომის სახ. კომ რწმენ. საქართველოში **ა. იაშვილი.**

შ.-ტ. სახალხო კომისარიატში.

— **სახელმწიფო ფულის ბარათების მიღება.** ფულის გადაგზავნის პირობების გასაუჯობესებლად, ამიერ-კავკასიის ყველა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში შეიღებულია სასწრაფო ფულის ბარათების მიღება ტელეგრაფით.

სასწრაფო ფულის ბარათში ტელეგრაფით, გარდა ჩვეულებრივ საფოსტო გადასახადისა არსებული ნიხრის მიხედვით, გამგზავნელთ გადახდებათ ოცდა ხუთ სიტყვიან სასწრაფო დეპეშის საფასური ე. ი. არსებული უბრალო დეპეშებისთვის სამმაგი ფასი. ასეთი ფულის ბარათების უწყებები ჩაბარდებათ მიმღებლებს დაუყოვნებლივ ტელეგრამის ფ.-ტ. დაწესებულებაში მისვლისთანავე.

შინაგან საქმეთა კომისარიატში.

— **დაჯილდოება.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატის დადგენილებით, ბათომის ოლქის მილიციის უფროსის თანაშემწეს ამხ. არჯევნაძეს მიეცა ჯილდო და გამოეცხადა მადლობა ბოროტგამზრახველებთან თავდადებულ ბრძოლისთვის.

— **საქონლის ჭირი (ხუზარა) შორაპნის მაზრაში.** შინ. საქ. კომ. ცნობით შორაპნის მაზრაში გაჩნდა საქონლის ჭირი (ხუზარა) რის წინააღმდეგ მიღებულია სათანადო ზომები.

ქალაქის აღმასკომში

— **ახალი ნიხრი.** 1 ივლისიდან დამტკიცდა ქალაქის ამბანოებზე შემდეგი ნიხრი: ამბანო № 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 14 საათში ნომერი ღირს—700 ათასიდან 900 ათასამდე, საერთო—200 ათასი.

— **ამბანო ქალებისათვის.** კომ. განყოფილებამ მირზოევისეულ ამბანოსთან გახსნა განყოფილება ქალებისათვის.

გამოგვეცხადა.

— **„წითელი ვარსკვლავი“,** სახ. გამომცემლობამ გამოსცა ა. ბოგდანოვის რომანი—უტოპია „წითელი ვარსკვლავი“ თარგმანი ის. თალაკვაძისა. წიგნს დართული აქვს ავტორის პორტრეტი და რამდენიმე სურათი.

— **ლექსთა კრებული“.** გამოვიდა „საყმაწვილო ლექსთა კრებული“. საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის გამოცემა.

კრებები და მოხსენებები.

— **საქართველოს ხალხთა ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებაში.** დღეს საღამოს 7 ნახ. საათზე ხელოვნების სასახლეში (სერგის ქეჩა № 13) მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც წაიკითხვენ მოხსენებებს: 1) ს. კაკაბაძე—„ერთი ძველ ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთაგანი (არსენ კათალიკოზი)“; 2) ს. გაჩეჩილაძე—„ლინგვისტიკური და ფილოლოგიური მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ ქართველი ტომი არის დედა თეთრი რასისა“. კრება საჯაროა.

სხვა და სხვა.

— **სპარსეთის წარმომადგენელის გარდაცვალება.** 29 ივნისს თბილისში გარდაიცვალა სპარსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი მაჰმედ ალი ხან ერტეშამ ხუმაიენი.

— **საქციოზო სამმართველო.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებით შეცვლილ იქნა ა.-კავკასიის საქციოზო სამმართველოს ფორმა—არსებულ 8 განყოფილების ნაცვლად, დარჩა 3 განყოფილება 7 ქვეგანყოფილებით.

— **ახალი ხორბალი.** ტფილისის ბაზარზე უკვე შემოვიდა ახალი პურის ხორბალი, რამაც საგრძნობლად დასწია ფასები პურზე.

— **წყალდიდობა.** სოფ. ახალქალაქში (ბორის მაზრა, ივნისის 16 მდინარე თეძმის ხეები გადმოვიდა ნაპირებიდან და ნაწილი სოფლის სრულებით გაანადგურა. მიღებულია ზომები ცის ქვეშ დარჩენილ გლეხებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ.

ზარეის ბირჟაში

— **უმუშევრები.** 30 ივნისს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—176 უმუშევარი, ჩაიწერა—20, გაიგზავნა სამუშაოზე—58.

ხელოვნება

— **ალ. მაშაშვილის სალამო ხელოვნაკში.** ამ მოკლე ხანში ქ. სენაკში გაიმართება პროლეტარულ პოეტის ალიოშა მაშაშვილის საღამო.

— **ახალი ჟურნალი.** სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტმა გადასწყვეტა სექტემბრიდან გამოუშვას თვიური ჟურნალი: ლიტერატურის, თეატრის, მხატვრობისა და მუსიკის. მასალები უნდა გამოიგზავნოს ხელოვანთა სასახლეში. მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმს.

— **გაზეთი „რუბიკონი“.** გამოვიდა საქ. ახალ მწერალთა კავშირის ორგანო „რუბიკონის“ მე-12 ნომერი. ნომერში მოთავსებულია წერილები: გრ. რობაქიძის, დავით კლდიაშვილის, შალვა დადიანის, ტიციან ტაბაძის, შალვა ალუბაიძის ვასო გორგაძის და ვახტანგ კოტეტიშვილის და სხ. ნომერი ეძღვნება სანდრო ცირეკიძის ხსოვნას.

— **ბ:ლის გადაცემა.** საზაფხულო შენობა ბაღით ყოფ. „ტფილისის წრის“ გადაეცა ომში დასახიჩრებულთა შრომის არტელს, ბაღში მოწყობილი იქნება სეირნობა, სიმფონიური კონცერტები, კინო, სამავშო საღამოები და სხ.

— **მწერალთა კავშირების გაერთიანება.** მოხდა ძველი და ახალი მწერალთა კავშირების გაერთიანება.

— **„ქეთო და კოტე“ რუსულად.** გადაითარგმნა რუსულად ვიქტორ დოლინის პიესა „ქეთო და კოტე“.

— **ჰამლეტის წარმოდგენა ბათომის სცენაზე.** მსახიობი გ. დავითაშვილი გაემგზავრა ბათომს, სადაც ადგილობრივ ძალებას დახმარებით წარმოადგენს „ჰამლეტს“.

ეროვნებიანი

ბოლოდის თემი (ქუთაისის მაზრა)

დაახლოვებით 1920 წლამდე—გორდის თემი ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხეთაგანი იყო საქართველოში. აქ არ მოიპოვებოდა არავითარი კულტურული დაწესებულება; იყო მხოლოდ ერთი სკოლა -ორ კლასიანი, სადაც მასწავლებლები მუდამ გარეშეები იყვნენ; მოწაფეთა რიცხვიც მუდამ მცირე იყო. აქაური მცხოვრებლები როგორც გონებრივად, ისე ქონებრივადაც ჩამორჩენილნი იყვნენ.

აქ ბლომად მოიპოვებოდა თავადაზნაურობა, და თავის თავად ცხადია, რომ გაჭირვება-სიღატაკე და სიბნელე მუდამ მეტი იყო. მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გორდის მდგომარეობა სრულიად შეიცვალა: მოისპო აქ როგორც ყველგან თავად-აზნაურობის ბატონობა მშრომელებზე, მოისპო პრივილეგიები, განთავისუფლდა ჩაგრულნი მჩაგვრელების უღლისაგან და სწორად ამით გაჰქრა თავადური წყარო უბედურებისა, რომელიც სუფევდა მანამდის მშრომელთა შორის.

უმთავრესი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულ იქნა საბჭოთა თავრობის მიერ მართვა-გამგეობის ხელში აღების პირველ დღიდანვე, გორდელების საკეთილდღეოდ, იყო გორდის თემის სენაკის მაზრიდან ჩამოშორება და ქუთაისზე მიწერა, რაც შეადგენდა გორდელებისათვის მრავალ ათეულ წლების განმავლობაში განუხორციელებელ სანატრელ მიზანს. სანატრელი იყო გორდელებისათვის იგი—იმიტომ რომ, სენაკი, როგორც სამაზრო ქალაქი დიდ მანძილზე (65 ვერსის) იყო დაშორებული გორდიდან—გზებიც არ უშხრობდა, მიმოსვლა მეტად გაძნელებული იყო, და მის ყურადღებასაც მუდამ მოკლებული იყო იგი. ქუთაისი კი გაცილებით უფრო ახლოს არის, გზაც უფრო უდგება, მიმოსვლა ადვილია და მართვა-გამგეობის საქმე დღეს კიდეც კარგად არის დაყენებული გორდში. შესამჩნევად გაუმჯობესებულია დღეს გორდში სწავლა-განათლების საქმეც: აქ არის რვა წლიანი მთლიანი შრომის სკოლა, რომელსაც აქვს პარალელები თემის ყველა ცოტად დაშორებულ კუთხეებში. მასწავლებლები ერთის გამოკლებით ყველანი ადგილობრივები არიან. არის ბიბლიოთეკა-სამკითხველო; არის აგრეთვე სათეატრო დარბაზი, სადაც წარმოდგენები ხშირად იმართება ადგილობრივ ძალებით, ხალხი ბლომად ესწრება წარმოდგენებს და გულმოდგინედ უსმენს მას, რაც დამამტკიცებელია იმისი, რომ ხალხმა უკვე გაიგო თეატრის მნიშვნელობა.

აღსანიშნავია კიდევ, არას დროს არ გაკეთებულა გორდის თემში იმდენი გზები და ხიდები, რამდენიც ამ მოკლე ხნის განმავლობაში გაკეთდა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გორდიდან ბუმბუს ხიდამდე გაყვანილი სათემო გზა. გორდი თანაგორიანი ადგილია, მაგრამ ეს ახალი გზა ისე მოხერხებულად არის გაყვანილი, რომ უსწორ-მასწორო ადგილები თითქმის არც კი შეემჩნევა.

ამავე გზაზე გაკეთდა ხიდი, რომლის დადებითი მნიშვნელობა უსაზღვროა გორდელებისათვის. ეს ხიდი გაკეთებულია პატარა მდინარეზე; პატარაა იგი ზაფხულობით და საერთოდ კარგ ამინდის დროს, მაგრამ—უმნიშვნელო წვიმაც საკმარისია—რომ ეს პატარა მდინარე ზღვად იქცეს და მაშინ ამ მდინარეზე გასვლა მეტად სახიფათოა. ამ მდინარის გადიდების გამო, რამდენჯერ შეჩერებულა ფოსტის მიმოსვლა; მაგრამ დღეიდან ასეთი არ განმეორდება.

მომავალში განზრახულია გორდის აგარაკად გამოცხადება; მალე აქ უნდა მოეწყოს სანატორიუმი. დღემდეც ზაფხულობით აქ საკმაო ხალხი ამოდიოდა მახლობელ ქალაქებიდან საგარაკოდ, ხშირად მძიმედ ავადმყოფნიც კი, და მეტად კმაყოფილნი ბრუნდებოდენ უკან.

ს. გეგენავა.

მთავრობის მოქმედებანი და გადაწყვეტილებანი

დადგენილება № 44.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის—ფიზიკური კულტურის საბჭოს დებულების მე-5 მუხლის შენიშვნის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ფიზიკური განვითარების საქმის მოწყობის შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. ივნისის 23. თარიღითა და 42 №-რით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ფიზიკური კულტურის საბჭოს დებულების მე-5 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. ივნისის 30.

თბილისი-სასასნელი.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. 1923 წ. ივნისის 25.

ამიერ-კავკასიის დამშეული რაიონებისათვის შეწირულ და გადადებულ ტვირთთა გადაზიდვისა და მათ გამოყოლ პირთა ამიერ-კავკასიის რკინის გზით რაიონების შესახებ.

იმ მიზნით, რათა გაადვილებულ იქნეს ამიერ-კავკასიის რკინისგზით ზოგიერთ კატეგორიის ტვირთთა გადაზიდვა მოუსავლობისაგან დაზარალებულ ადგილებში, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1., იმ ტვირთთა გამგზავნელთ,—რომელიც შესდგება ფართო მოხმარებისა და საშინაო საჭიროების პროდუქტებისაგან და იგზავნება ამიერ-კავკასიის რკინისგზით მოუსავლობისაგან დაზარალებულ ადგილებში, შიმშილის შედეგებთან ბრძოლის კომისიის სახელზე,—უფლება მიეცეთ შეღავათიანი გადაზიდვისათვის,—მომქმედი ნორმალური ტარიფის ღირებულების 50 პროცენტის დაკლებით.

2., შეღავათი ესე გავრცელებულ იქნეს 1-ლ მუხ. აღნიშნულ ტვირთის. გამყოლ პირთა ამიერ-კავკასიის რკინისგზით როინინობაზე.

3., სასყიდელი, რაც ერგება რკინისგზას ამა დადგენილებაში აღნიშნულ ტვირთთა გადაზიდვისა და მათ გამყოლ პირთა როინინობისათვის, გადახდილ] უნდა იქნეს შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის რესპუბლიკანურ დაწესებულებათა მიერ საუწყებათაშორისო ანგარიშის გასწორების წესით.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოს დავალება გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტ. აღმასს. კომიტ
თავმჯდ. მ. ცხაკაია.
ამიერ-კავკ. ცენტრ. აღმასრ. კომიტ.
მდივანი-ბ. თალიბლი.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. 1923 წ. ივნისის 25.

სახალხო კავშირის მომუშავეთა დემობილიზაციის შესახებ აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში.

გაუქმებულ იქნეს აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყოფილი შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1922 წ აპრილის 10 თარიღითა და 21 №-რით გამოცემული დადგენილების 1 მუხ. ლიტ. ბ. 1 და 2 პუნქტი—ყველა იმ შეზღუდვით, რაც დაწესებულია აღნიშნული დადგენილების 2 და 3 მუხ. სახალხო კავშირის მომუშავეთა მიმართ.

ამიერ-კავკ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის
თავმჯდ. მ. ცხაკაია.
ამიერ-კავკ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის
მდივანი ბ. თალიბლი.

პარტიული და საბჭოთა ბიბლიოთეკა

პარტიული ბიბლიოთეკა

— ც. კ. საალრიცხვო-სასტატისტიკო კვე-განყოფილება წინადადებას აძლევს გ. მოცხადდენ სამი-დღის განმავლობაში. პირადი მოსალაპარაკებლათ შემდეგ ამხანაგებს: 1. მიცელიანი სტეფანე, 2. გაილეკ ბეგრაბანი, 3. პლატონ შუშამია, 4. ალექსანდრ. ზახაროვი.

ც. კ. საალრიცხვო-სასტატისტიკო კ.-განყ. გამგე: ა. ლიციანოვი.

განცხადებები

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზეთ „ტ“), **რუსთველის პრ. № 26.** ტელეფ. № 5—13,

ივლისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შემოტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.800.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მეშჩანისათვის	1.300.000
ერთი ეგზემპლარი	75.000
იქვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ზე თვიური ფასი შინ მიტანით	500.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივლისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ აღებვის არ გაეგზავნება. № 6—6

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

სამმართველო

აცნობებს

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ხალხებს მეპატრონეთ, რომელნიც დაინტერესებული არიან ხილისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს

ხილისა და ბოსტნეულის გამხმოგი

მატარებელის, ექსპლოტაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნო მოწყობილება ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ჭერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.

1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითეულ ფუთ გამხმარ პროდუქტზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასავლის პროცენტი დიდია, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.

2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.

3) შემკვეთელებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტრანსპორტიროვკისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის გიროს ქვეშ.

4) ტარის შეძენის სიაფესათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწყობად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყოთა რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფქვილად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებელის დამმზარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებელით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.

ცნობებისათვის უნდა მიმართონ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურს (სადგურის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57). (კრ. 473—5—4)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **ბიბლიოლტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. კალატნიკოვის

პლენარნოვის პრ. № 132.

სწავლობენ მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე ი. კალატნიკოვი.

0—2

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი

ხაპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ. ქვირაობით 9—2 ს. დღის

ხელოვნური კბილები. ოქრის მუშაობა 25—1

ელექტრონის ხინათლის და

სამკურნალო

საფოლებით ბენზინი დიაფანოვალი

მიხეილ გედევანიშვილის ხახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ ძალთა ექიმობას საჭიროებენ.

სიანდმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიკის ხელმძღვანელობით ტფილისი, ყორდანოვის ქ. № 20 (501—25—10)

დაკარგე პასპორტი გაცემული ივანე გიორგის ძე ავალიანისა ლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (906—1—1)

დაკარგე განათლების მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 8 გაცემული მასწავლებლის ივ. ნიკარაძის სახელზე. წიგნაკი ჩათვლილი უნდა იქმნას გაუქმებულად. (908—1—1)

დაკარგე ფილიპე ივანეს ძე რამიშვილის სახელზე გამოცემული (დიდი ვანის თემის აღმასკომისაგან: მეტრიკული ამოწერილობა ორ ეკზემპლიარად და მოწმობა, რომ ფ. რამიშვილი დავილათ არის გლეხი. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად. (907—1—1)

დაკარგე ტარასი იოსების ძე ხაჭაპურიძეს სარეგისტრაციო ფურცელი მიღებული 1922 წელს (ნომერი არ ვიცი) რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. (909—1—1)

დღეს გამოვიდა და იყიდება

№ 3 ოქრკვირეული იუმორისტული ჟურნალი

„ნიანგი“

მოითხოვეთ ყველა მეგზეთეებთან და რკინის გზის კიოსკებში როგორც ქ. თბილისში, ისე პროვინციაში. (2—2)

ტ. „ბარიკ ვოსტოკა-ს“ სტამბა, ძრუნენშტეინის ქუჩა № 4

ჭითელ ქარში

არტილერია.

ქართულ მსროლელ დივიზიის არტილერია საზაფხულოთ თავ-მოყრილია ხოფ. №-ში.

წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი უდრის 90 კაცს, შტატით არტილერიას ეკუთვნის სამი მასწავლებელი, რომლიდანაც ერთი ავადმყოფობის გამო შვებულებაშია და ერთიც სრულებით არ დანიშნულა. ასე რომ სახეზე ჰვყავს მხოლოდ ერთი შტატის მასწავლებელი და ერთიც შტატ-გარეშე.

საჭიროა კიდევ ორი მასწავლებელი მაინც. ზომები მიღებულია მათ საშოვრათ. ზემო ჩამოთვლილი მიზეზის გამო სწავლა ნორმალურათ ვერ მიმდინარეობს. ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობისა მოხდება 1 ენკენისთვისათვის.

კლუბი.

არსებობს დივიზიონის კლუბი, რომელიც ემსახურება მთელ არტილერიას, სცენის მოწყობა ჯერ ვერ მოხერხდა. მუშაობენ სხვადასხვა წრეები: ლიტერატურული, სასპორტო, რომელსაც კარგი ხელმძღვანელი ჰყავს, სამხედრო ცოდნის წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. კვინტრაშვილი და სხვები.

პოლიტ-საათი.

პოლიტ-საათის მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურათ. მეცადინეობა სწარმოებს დილით. გადიან პოლიტ-საათზე პოლიტ. განყოფილების მიერ მიცემულ პროგრამას. უფროს შემადგენლობასთან პოლიტიკური მეცადინეობა არ სწარმოებს.

პარტ-მუშაობა.

კომუჯრედების სხდომები იმართება თავის დროზე. საერთო პარტიული კრებები მთელ არტილერიის მასშტაბით იმართება კვირაში ორჯერ, თანახმად პოლიტ-განყოფილების ცირკულიარისა.

სამკითხველო.

ყველა ბატარეებს აქვს თავისი სამკითხველო, რომლებიც პირნათლათ ეხსახურებიან თავის საქმეს. წითელ-არმიელები ძალიან დაინტერესებული არიან გაზეთისა და წიგნების კითხვით, მაგრამ ქართული წიგნები ძალიან ცოტაა; საჭიროა მათი შეძენა. გაზეთებიც ვერ მოდის თავის დროზე ნაწილში. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და სისტემატიურათ მიწოდებულ იქნეს ნაწილისათვის გაზეთები.

იქ, სადაც სდგას ჩვენი არტილერია, არის აგრეთვე „ოკა“-სიც, რომლებიც, როგორც უფროსი ძმები, ხელს უწყობენ ჩვენს არტილერიას: ათხოვეს კარვები, აჩუქეს ერთი ფუტბოლის ბურთი, ფანქრები, რვეულები და სხვა საჭირო საგნები.

ნაგრი.

—

— **სწავლა-განათლება წითელ ჯარში.** ქართული წითელი ჯარის სასკოლო სექციამ დაადგინა—დიანიშნოს მეორე ლეგიონში კიდევ 8 მასწავლებელი ჯარის კაცებისათვის წერა-კითხვის სასწავლებლად.

— **ჯამაგირების მომატება.** ა.—კ. ცალკე არ მიის სამხედრო რევოლ. საბჭოს დადგენილებით, 1 ივნისიდან გადიდებული იქნა ჯამაგირები წითელ ჯარში—50 პროც.

სამი საათი ბანდიტების ხელში

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ქ. თბილისის აღმასკომმა გადასწყვეტა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისათვის მიეცა მარტყოფის მონასტერი ქუჩაში მოხეტიალე მათხოვრების იქ მოსათავსებლად.

ამის გამო კვირას, 1 ივლისს მე გავემგზავრე მარტყოფის მონასტერის დასათვალიერებლად ავტომობილით. ჩემთან მოდიოდნენ კომისარიატის დაწესებულებათა გამგე ამხ. ურუშაძე და ქ თბილისის მესამე კომისარიატის კომისარი დოლიძე.

სოფელ მარტყოფში რომ მივედი, მოვთხოვე ადგილობრივ აღმასკომს ჩვენთვის გამოეყოლებია მილიციონერი. მილიციონერის მაგივრად მომცეს ერთი კერძო პირი, რომელიც ადგილობრივად ითვლება პასუხისმგებელ თანამშრომლად.

ავტომობილის მონასტერში ასვლა ვერ მოხერხდა, ამიტომ გავიჩერეთ ორი ვერსის დაშორებით; ჩვენ თვითონ წავედით ფეხით.

დავბრუნდით უკან საღამოს ექვს საათზე, მაგრამ შორიდან შევნიშნეთ, რომ ავტომობილთან შოფერი არ იყო. ჩვენი შოფერი ტყეში შეუყვანია ერთ ბანდიტს, ხოლო ორი ბანდიტი თოფებ მომიზნებული ჩვენ დაგვხვდა და „გვიკამანდრა“ რომ ხელები ზევით აგვეწია. შემდეგ გადმოვიდა სამივე ბანდიტი და დაგვიწყეს ჩხრეკა, დაეგროვეს საათები, რევოლვერი და ფულები. ცალკე დაწყვეს ჩვენი საბუთები. ფასიანი რაც იყო, დაყარეს მიწაზე, ხოლოდ დიდი ინტერესით